პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 223 (13915) | პარასკევი, 22 სექტემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ვიყოთ შეურიგებელნი ნაკლოვანებებისადმი

ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ცხოვრობენ ერთი მისწრაფებით — ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის ორმოცდა მეათე წლისთავს, ახალი საჩუქრები დაუმზადონ სამშობლოს.

წარმატებით ეწევიან საიუბილეო ვახტს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, ჭიათურის, ცხინვალისა და სხვა ქალაქების საწარმოთა კოლექტივები, ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

დიდი გამარჯვება მოიპოვეს საიუბილეო წელს საქართველოს მეჩაიეებმა. მათ ვადამდე — 14 სექტემბრისათვის გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის ვალდებულება. მოიკრიფა და გადამუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 210 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 ათასი ტონისა.

გაგვახარეს ჩვენმა მეაბრეშუმეებმაც, რომლებმაც კვირაზე მეტია შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. შესრულებულია ხარისხოვანი პარკის მიყიდვის გეგმაც.

რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოდის სასიხარულო ცნობები ბოსტნეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმების ვადამდე შესრულების შესახებ. ყოველივე ეს კი იმას მოწმობს, რომ საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ კოლექტივებს მოქმედებაში მოჰყავთ ახალი რეზერვები.

წარმატებები გაცილებით მეტი გვექნებოდა, ყველა შრომითი კოლექტივის კომუნისტები გამსჭვალულნი რომ იყოს წარმოების შემდგომი ზრდისათვის ზრუნვით, დროულად გამოჰკონდეთ დღის სინათლეზე ნაკლოვანებანი, ეძებედნენ მათს გამომწვევ მიზეზებში, სახავდნენ გზებს მთელი პარტიული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით, მაგალითად, ახალციხის რაიონის სოფელ აწყვეტის კოლმეურნეობაზე. იმის გამო, რომ აქ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსს არ ახორციელებენ, მარცვლეულის დაბალ მოსავალს იღებენ. აწყვეტელები ვერც სხვა კულტურების მოსავლიანობას დაიკვეხნან. ხერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ მეცხოველეობაშიც.

აწყვეტაში ხასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის იმაზე ნაკლები პირობები როდია, ვიდრე მეზობელ კოლმეურნეობებში, მაგრამ რეზერვები აქ წლითიწლითიდან გამოუყენებელი რჩება. არტელში მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია დისციპლინა. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ცდილობს შექმნას საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომითი ენთუზიაზმის ვითარება, ქმედითი კონტროლი დაუწესოს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი, წარმატებით შეიახლოს მატერიალური და მორალური სტიმულები, აამაღლოს კომუნისტთა პასუხისმგებლობა.

აწყვეტის კოლმეურნეობა ამ მხრივ რაიონში გამონაკლისი როდია. ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მეტი მუშაობა მართებთ იმისათვის, რომ არ ჰყავდეთ ეკონომიურად სუსტი არც ერთი საზოგადოებრივი მეურნეობა.

ნაკლოვანებანი, შეცდომები, ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა, თვითდამშვიდება და ბიუროკრატიზმი ჩვეულებრივად თავს იჩენს იქ, სადაც დაბალია კოომუნისტთა სიფხიზლე, სადაც ნაკლები უურადღება ექცევა კრიტიკასა და თვითკრიტიკას, განსაკუთრებით კი ქვემოდან კრიტიკას.

ამის საილუსტრაციოდ კმარა სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკისა და გულრიფშის რაიონული დამამზადებელი კანტორის მაგალითი, სადაც სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრების გაფლანგვა-დატაცების ალმაფოთებელ ფაქტებს ჰქონდა ადგილი. როგორც გამოირკვა, მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, რომლებიც თავიანთ ხელმძღვანელთა უდარდელობით სარგებლობდნენ, ჩსაღიდნენ მაქინაციებს, აფორმებდნენ არასასაქონლო ზედადებებს, ეწეოდნენ ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას. ამ გზით მათ გაფლანგეს და დაიტაცეს დიდძალი სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრება.

ამას წინათ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს მეხუთე სხდომაზე ეს საკითხი და სოციალისტური დოვლათის ხელმყოფთ სათანადოდ მიუზღო. მაგრამ სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკასა და გულრიფშის რაიონულ დამამზადებელ კანტორაში მომხდარი ეს ამბები დღიდან ყურადღებას ამ შრომითი კოლექტივების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ. შეიძლებოდა ყალბისმქნელების ადრევე ალაგმვა, პარტიის სიხუმის საქალაქო კომიტეტს და გულრიფშის რაიკომს მეტი სიფხიზლე რომ გამოეჩინათ, სათანადოდ შეერჩიათ კადრები, დრმად ჩასწვდომოდნენ ფაბრიკისა და კანტორის მუშაობას, დახმარებოდნენ იქ მომუშავე კომუნისტებს დანაშაულებრივ ქმედობათა გამოაშკარავებაში.

კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი წინსვლის მნიშვნელოვანი იარაღია. პრინციპული კრიტიკის ვითარება ეხმარება კადრებს აღიზარდონ ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა კი არ მიგვეჩქმალა შეცდომები, არამედ აშკარად ვაგვიკრიტიკებინა და გამოგვესწორებინა ისინი.

პარტიული ცხოვრებისა და ხელმძღვანელობის პრინციპებს ლენინური ნორმების აღდგენამ ფართო სარბიელი გადაშალა კრიტიკის განსავითარებლად. ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ლენინური მითითებებით, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, პარტიის პროგრამითა და წესდებით, ყოველმხრივ ავითარებენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, ზრდიან კომუნისტებს, ყველა შრომელს ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. ეს საშუალებას აძლევს რესპუბლიკას წლითიწლითიდან ამრავლოს მიღწევები კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

შრომაზე, საწარმოო მაჩვენებლებზე კეთილსასურველ გავლენას ახდენს პარტიული ორგანიზაციების მუდმივი ზრუნვა ახალი ადამიანის აღზრდისათვის, მორალური კოდექსის პრინციპების დამკვიდრება, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის ყოველმხრივ განვითარება.

არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც კრიტიკას უმტკივნეულოდ იღებენ, ყურს უგდებენ მასებს, ცდილობენ შექმნან საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო. მაგრამ, სამწუხაროდ, გვხვდებიან ისეთი ხელმძღვანელებიც, რომლებიც არათუ არ ქმნიან პირობებს კრიტიკის გასაშლელად, არამედ ყოველნაირად ჩქმალავენ ხარვეზებს. ვერ იტანენ კრიტიკას, ხოლო ზოგჯერ კიდევაც ახშობენ მას.

ასეთ ფაქტებს არ შეიძლება შეეურიგდეთ.

ამოცანა ის არის, რომ ავამაღლოთ კადრების პასუხისმგებლობა მინდობილი საქმეთათვის, აღვზარდოთ ისინი ხახელმწიფო დისციპლინის უმკაცრესად დაცვის, მაღალი მომთხოვნელობის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, კრიტიკისადმი. განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკისადმი სწორი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

არ უნდა დავჯერდეთ მარტო მოწოდებებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღების შესახებ. საჭიროა შემდგომშიც გავშალოთ შინაპარტიული დემოკრატია, ურყევად ვიდგეთ პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დაცვის სადარაჯოზე. ამ მიზნით ყოველმხრივ უნდა გავაუმჯობესოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებების, პარტიული აქტივის კრებების. პარტიული კომიტეტების პლენუმების მოწყობის პრაქტიკა, უნარიანად გამოვიყენოთ მათი მაღალი ტრიბუნა კრიტიკისა და თვითკრიტიკის განსაჩაღებლად. კომუნისტთა კრებებს, პარტიული აქტივის კრებებსა და პარტიული კომიტეტების პლენუმებს უნდა ვაწყობდეთ რეგულარულად. მაღალ დონეზე, ყველა მოთხოვნის გათვალისწინებთ.

ქმედითად უნდა გამოვიყენოთ საზოგადოებრივი კონტროლის ახალი ფორმები, ყურად ვიღოთ მშრომელთა კრიტიკული გამოსვლები და წინადადებანი, სწრაფად განვახორციელოთ ყოველივე ძვირფასი და მოწინავე.

საჭიროა სწორი დამოკიდებულება და საქმიანი გამოხმაურება ჩვენი პრესის კრიტიკული გამოსვლებისადმი.

ყველგან შევქმნათ მომთხოვნელობის, სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის მაღალი პარტიული პასუხისმგებლობის, პრინციპულობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარება — ეს არის ჩვენი გამარჯვების საწინდარი.

საიუბილეო ვახტზე საბჭოთა საქართველო

გარდამავალი დროშა მეშვიდედ

ჟუთაისი. (საკ. კორ.) ბამბის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი მ. ქაქუჩაია) სასახელოდ ასრულებს საოქტომბრო ვალდებულებებს. ფეიქრებმა, რომლებიც საიუბილეო წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით კვლავ გამარჯვებული გამოვიდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ზედიზედ მეშვიდედ მოიპოვეს პირველი ადგილი და ამდენჯერვე შეინარჩუნეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც ფაბრიკის კოლექტივი 1965 წლის მეოთხე კვარტალიდან ფლობს.

ფეიქრებმა მაღალი ტემპი აიღეს წლის მესამე კვარტალშიც და რვა თვის დავალება ვადაზე ერთი კვირით ადრე შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 130 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 112 ათასი მანეთის პროდუქცია. პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება გთვალისწინებულთან შედარებით 2,8 პროცენტით გაზარდეს, შრომის ნაყოფიერება 16 პროცენტით აამაღლეს, თვითღირებულების შემცირებით 26 ათასი მანეთი ეკონომია გასწიეს, 45 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში თავი ისახელეს მოსამზადებელი და საქსოვი სამქროების, ავრეთვე კომუნისტური შრომის საუნივერსიტეტების კოლექტივებმა, ზ. ჩიმახაძე, შ. ქებულაძე და ვ. გორდულაძე უძღვებიან.

მშენებელთა საქმე

საიუბილეო ვახტზე დგას საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სპეციალიზებული მექანიზაციის ტრესტის № 2 მექანიზაციის სამმართველოს კოლექტივი. სამმართველომ 9 თვის გეგმა ვადაზე ადრე გაანაღდა და გეგმის გადამეტებით 118,8 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო შეასრულა. 12,3 პროცენტით შემცირდა მშენებლობის თვითღირებულება, ხელფასის ეკონომიამ 27 ათას მანეთს მიაღწია, შრომის ნაყოფიერება კი 9,8 პროცენტით გაიზარდა.

ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებულია 125 ათასი მანეთი მოგება. დანერგილმა რაციონალიზატორულმა წინადადებამ სამშობლოს 77 ათასი მანეთი ეკონომია მისცა.

სამმართველოს კოლექტივი ახალი მიღწევებით ხვდება ოქტომბრის იუბილეს.

ა. შურლაია,
მექანიზაციის სამმართველოს საგეგმო განყოფილების უფროსი.

ვადაზე ადრე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას აღწევს ცხაკაიას საქმიანთან ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივი. კანტორას (დირექტორი ლ. შერიზნა) 8 თვეში გეგმით უნდა გადაეტანა 315,8 ტონა სამეურნეო ტვირთები. ფაქტიურად გადატანილ იქნა 340,3 ტონა, რითაც 8 თვის საწარმოო გეგმა 107,7 პროცენტით შესრულა.

გეგმების ვადაზე ადრე გადაჭარბებით განაღდების საქმეში წარმატებები აქვთ და როგორც დღიურ, ისე თვიურ დავალებებს 110-115 პროცენტით ანაღდებენ მძღოლები ნ. ლაქტიონოვი, მ. ტყეებუჩავა, ხ. სანიკიძე, ქ. ალანია, გ. დემური, ნ. ლომია, რ. ბაღათურია, ა. ჯანჯღავა, თ. ხოშტარია, შემკეთებლები მ. ურიდია, დ. ჩიქოვანი, ნ. ადამია, ა. ხოფერია და სხვები.

ცხაკაიელი მძღოლები სექტემბერშიც წარმატებით განაგრძნობენ საიუბილეო ვახტს.

ა. ჭარჩავა,
მუშკორი.

წლიური გეგმის გადამეტებით

საიუბილეო წელს წარმატებით მუშაობს „ვტორჩერმეტის“ ჭიათურის საწარმოო მომდები კოლექტივი. 30 აგვისტოსათვის დიდი გადაჭარბებით შესრულდა შავი ლითონის ჯართის მიღებისა და გაგზავნის წლიური დავალება. 1.300 ტონის ნაცვლად მეტალურგიულ ქარხნებს გაეგზავნა 1.550 ტონა შავი ლითონის მაღალხარისხოვანი ჯართი.

ს. სამხარაძე.

ვალდებულება შეასრულეს

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად მუშაობს ზვარის მინერალური წყლის ჩამომსმელი ქარხნის კოლექტივი (დირექტორი შ. ბერაძე). მან 20 აგვისტოსათვის შეასრულა რვა თვის დავალება. გაზარდა შრომის ნაყოფიერება, დაადგინა 30.000 მანეთი.

ქარხნის კოლექტივს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის ვალდებულებით გეგმის გადამეტებით უნდა გამოეშვა 250 ათასი ბოთლი (ნახევარლიტრიანი) მინერალური წყალი. თავდადებული მუშაობით პირობა უკვე შესრულებულია — გეგმის ზეგით გამოშვებულია 320 ათასი ბოთლი წყალი.

ამ წარმატებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ქარხნის წარჩინებულ ადამიანებს ვ. ლაცაბიძეს, ე. ღონდაძეს, მ. გოგოლაძეს, ბ. ორთოთიძეს, ა. ჩაჩანიძეს, ლ. ჩიტაძეს, გ. გველესიანს, თ. ტალახაძეს, გ. ლომიძეს და სხვებს.

ქარხნის კოლექტივი იბრძვის წლიური გეგმის შვიდი ნოემბრისათვის შესასრულებლად.

ახალ პირობებში

აბგისტო საშურის სავაგონო დეპოს ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის პირველი თვე იყო. ახლებურად მუშაობის პირობებში მეგზაურებმა მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს და დავალება გადამეტებით გაანაღდეს. გეგმით გათვალისწინებული 230 ვაგონის ნაცვლად შეკეთებიდან გამოვიდა 238 ვაგონი.

განვლილ რვა თვეში დეპოს კოლექტივმა გეგმის გადაჭარბებით შეკეთებიდან 50 ვაგონი გამოუშვა.

დ. ფარეშუნოვი.

ზრომითი ნოგათეგი

ჩოხატაურის რაიონის მშრომელებმა პირობა გაანაღდეს, — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომის მეორე მდივანმა ტ. ჩხეიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ბერიძემ, — სახელმწიფოს მიეყიდა 6.226 ცენტნერი რძე ნაცვლად ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული 6.200 ცენტნერისა. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შარცხმისის, გოგოლესუბნის, ბანახლების, ზომლეთისა და ნაბეღლავის კოლმეურნეობებმა.

●

ბორჯომის რაიონის მშრომელები სასახელოდ ეგებებიან საბჭოთა ხელისუფლების დაფყარების 50 წლისთავს. სახელმწიფოს მიეყიდა 5.600 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 5.350 ცენტნერისა, 26.223 ცენტნერი რძე ნაცვლად 25.700 ცენტნერისა, 213 ათასი კვერცხი ნაცვლად 160 ათასი ცალისა. კარგად იმუშაეს ზანავის, ტაბაწყურის, ბუჯარეთის, ჭითელსოფლის, გზეურდისუბნისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა. ეს აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. კუხიანიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. კიკნაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა დ. ბარამიძემ.

●

საქართველოს კპ შუახევის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ხოზრევანიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მიქელაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. დათუშიძემ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელები საიუბილეო წელს სასახელოდ მუშაობენ. შეტეხილი და ანემსილია 6.725.000 ზონარმეტრი თამბაქოს ფოთოლი, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებულ 6.600.000 ზონარმეტრისა. რაიონმა იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით შეტეხოს 1.400.000 ზონარმეტრი თამბაქოს ფოთოლი.

გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის რძის, კვერცხის, ტყავნედლეულის, კუკოკვანი ხილის მიყიდვის წლიური გეგმები და ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა.

●

თერჯოლის რაიონმა სიტყვა საქმედ აქცია, — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ყიფშიანმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ლიბარაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. შუბლაძემ. — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულდა 101,5 პროცენტით, რძისა — 103,8 პროცენტით, კვერცხისა — 100,4 პროცენტით, კუკოკვანი ხილისა — 100,3 პროცენტით. პირუტყვისათვის დამზადებულია 9.535 ტონა წვნიანი საკვები, რაც წლიური გეგმის 106 პროცენტს შეადგენს.

გორელი მეფრინველეები

გორი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკამ (დირექტორი ვ. რთველიაშვილი) მიმდინარე წლის დამდეგს ვალდებულება იკისრა ფრინველის ხორცისა და კვერცხის დამზადების რაიონული გეგმა შეესრულებინა.

გორელმა მეფრინველეებმა თავადადებით იშრომეს, წარმოებაში დანერგეს სტავროპოლელ მეფრინველეთა მუშაობის მეთოდები და. წარმატებასაც მიაღწიეს. ამ დღეებში მათ გადაჭარბებით შეასრულეს ფრინველის ხორცისა და კვერცხის დამზადების რაიონული წლიური გეგმები. წარმოებულია 440 ცენტნერი ხორცი. ნაცვლად 50 ცენტნერისა სახელმწიფოს მიეყიდა 52 ცენტნერი ფრინველის ხორცი. ნაცვლად 1.340.000 ცალისა — 1.800.000 ცალი კვერცხი. ერთ კვერცხმდებელ ქათამზე 95 ცალი კვერცხია მიღებული. გეგმა კი 80 ცალს ითვალისწინებდა. მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულებაც.

შრომაში თავი ისახელეს საწიწილეს და აკლიმატიზაციის საამქროს მეფრინველეებმა, რომელსაც მ. ჯიოშვილი ხელმძღვანელობს, აგრეთვე კვერცხმდებელი ქათმების საამქროს (უფროსი ვ. ჭუმბულიძე) და მეფრინველეებმა ე. ალხაზიშვილმა, ც. ბლუაშვილმა, ე. ელიოზიშვილმა, დანაგარების მექანიკოსმა შ. ილურიძემ და სხვებმა.

გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა ახლა პროდუქციას გეგმის გადამეტებით აწარმოებს.

რთველია, რთველი!

იკრიფეგა რქაწითელი

წითელწყაროს. (ტელეფონით, საკ. კორ.). დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც შირაქის მიწაზე ფეხი მოიკიდა ქართული მიწის მშვენებამ — ვაზმა, მაგრამ „საქართველოს ბელელი“ ცუდი მასპინძელი არ გამოდგა რქაწითელისათვის. რაიონის საერთო შემოსავალში საკმაო ხვედრითი წონა დაიმკვიდრა ვენახმა.

წითელწყაროელებმა წელს სახელმწიფოს გეგმით 4.450 ტონა ყურძენი უნდა მიეყიდონ. ოქტომბრის დღესასწაულის ანგარიშზე მათ დამატებით 1.500 ტონა ყურძნის დამზადება ივალდებულეს, მაგრამ არც ამას დასჯერდებიან.

რთველი უკვე დაიწყეს ზემომაჩხანისა და ჯაფარიძის კოლმეურნეობებმა. ჯაფარიძელმა მევენახეებმა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ნ. ყოჩიაშვილი) რთველის პირველსავე დღეს 250 ცენტნერი ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს.

რთველი დაიწყო სხვა სოფლებშიც.

• • •

სურამზე: რთველი ჯაფარიძის კოლმეურნეობის ზვრებში. წინა პლანზე, მარცხნიდან — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ყოჩიაშვილი, ბრიგადირი ვ. ყოჩიაშვილი და მკრეფავი თ. სიმონიძე ამოწმებენ ყურძნის ხარისხს.

ფოტო მ. შოშიაშვილისა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს გვინეის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

მიმდინარე წლის 18-19 სექტემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა და გვინეის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის შეხვედრა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. ი. პელშე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი; გვინეის მხრივ — გვინეის დემოკრატიული პარტიის ეროვნული პოლიტბიუროს წევრი, ფინანსთა და დაგეგმვის სახელმწიფო მინისტრი საიფულაი დიალო, გვინეის დემოკრატიული პარტიის ეროვნული პოლიტბიუროს წევრი, სახალხო არმიისა და სამოქალაქო სამსახურთა მინისტრი ლანსანა დიანე, გვინეის დემოკრატიული პარტიის ეროვნული პოლიტბიუროს წევრი, შეა გვინეის საქმეთა მინისტრი ნ' ფამარა კეიტა.

მოლაპარაკების დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გვინეის დემოკრატიული პარტიის, საბჭოთა კავშირისა და გვინეის რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

დელეგაციებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირისა და გვინეის რესპუბლიკის ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აქტიურად იბრძოლონ იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ. საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის, ყველა ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარებისათვის.

მათ სრული სოლიდარობა გამოთქვეს გვინეელი ხალხის გმირული ბრძოლისადმი ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა კავშირი და გვინეა მოითხოვენ, რომ განხორციელდეს სასწრაფო ღონისძიებანი არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რომ დამკვიდრდეს მტკიცე მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში.

აღინიშნა, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები მუდამ ერევიან კიბოსასნო კონგოს და აფრიკის მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში, ცდილობენ წინააღუდგნენ ანგოლის, მოზამბიკის, ეგრეთწოდებული „პორტუგალიის“ გვინეის, სამხრეთ როდეზიისა და სამხრეთ აფრიკის ხალხთა განთავისუფლებას კოლონიური და რასობრივი ჩაგვრისაგან, ავლენ იტაციებენ მათს სამდიდრეს.

საბჭოთა კავშირსა და გვინეის რესპუბლიკას ყველა ფორმის კოლონიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლა მიაჩნიათ წმიდათაწმიდა, სამართლიან ბრძოლად, ისინი ყოველმხრივ იხმარებოდნენ და კვლავაც დაეხმარებიან და მხარს დაუჭერენ კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს.

ორივე დელეგაციამ განაცხადა, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში ახლა განსაკუთრებით საჭიროა ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსა და ხალხის შეკავშირება და აქტიური მოქმედება იმპერიალიზმის აგრესიული აქციების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი მიესალმება აფრიკელ ხალხებს შორის სოლიდარობის განმტკიცებას, იღვწის ამისათვის, რომ აფრიკის პრობლემები თვით აფრიკელებმა გადაჭრან.

დელეგაციებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირ-გვინეის ურთიერთობა ემყარება სუვერენიტეტის, ურთიერთპატივისცემის, თანასწორუფლებიანობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველს და ხელს უწყობს საბჭოთა და გვინეელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას, გვინეის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას. დელეგაციებმა გამოთქვეს აზრი, რომ კიდევ უფრო განვითარონ ეკონომიური, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის, აგრეთვე კიდევ უფრო განამტკიცონ ორივე პარტიის ამხანაგური ურთიერთობა მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

გვინეის დემოკრატიული პარტიის დელეგაციამ მხურვალედ მიულოცა საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. მან აღნიშნა, რომ ოქტომბრის რევოლუცია, მისი იდეები და პრინციპები. სოციალიზმის წარმატებანი სსრ კავშირში უდიდეს გავლენას ახდენენ ყველა ხალხის ცხოვრებაზე. აფრიკის დამოუკიდებელ ქვეყნებს. ხაზი გაუსვა საიფულაი დიალომ. დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. ეროვნულისოდაც მათ გაუძნელდებოდათ წინააღდგომოდნენ იმპერიალიზმს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ გვინეის დემოკრატიულ პარტიას, მთელ გვინეელ ხალხს უსურვა წარმატებანი სოციალური პროგრესის გზაზე.

ყველა საკითხის განხილვა მიმდინარეობდა გულითად ამხანაგურ ვითარებაში და, ორივე დელეგაციის რწმენით, ეს ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და გვინეის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გვინეის დემოკრატიული პარტიის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

დიდი ოსტატობისა და მამაცობისათვის, რაც გამოიჩინეს სამშაბერო თვითმფრინავის ფრენის რეკორდ პირობებში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 20 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა თვითმფრინავ „ტუ-114“-ის ეკიპაჟის წევრები და სამოქალაქო ავიაციის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი საჰაერსანმორტო სამმართველოს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია თვითმფრინავ „114“-ის მეთაური ი. ვ. ბუზიკი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 5 კაცი და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 10 კაცი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება“.

2. „საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკებს, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში, აქვთ ამ დარგში მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 15 წლისა და გამოირჩევიან სანიმუშო საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1967 წლის 20 სექტემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ა. მურუსიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. აფრასიონ ანთიმოზის-ძე მურუსიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი,
1967 წლის 20 სექტემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ი. გალდავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კვეგის მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კვეგის მრეწველობის სამინისტროს ჩაის ხარისხის შემფასებელი ბიუროს უფროსი ამხ. ივანე ივანეს-ძე გალდავაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრ

ოქტომბერი და ჩვენი კლანჭა

მსოფლიო ლიტერატურის ვარსკვლავი

პრაღა, 21 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ტ. მარტინოვა გვაცნობინებს:

გუშინ პრაღის მანეჟში გაიხსნა დიდი გამოფენა „მსოფლიო ლიტერატურის ვარსკვლავი", რომელიც მიეძღვნა გენიალური რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის ცხოვრებასა და შემოქმედებას. გამოფენა ერთ-ერთი ცენტრალური ღონისძიებაა, რომლითაც ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

გამოფენის საზეიმო გახსნას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ი. ლენარტი, ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ლაშტოვიჩკა.

გამოფენის გახსნაზე ჩამოვიდა რუსეთის სფსრ მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მწერალ ლ. ს. სობოლევის მეთაურობით, აგრეთვე მოვიდა სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ს. ვ. ჩერვონენკო.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის თავმჯდომარემ ზ. ფირლინგერმა, კულტურისა და ინფორმაციის მინისტრმა კ. გოფმანმა და რუსეთის სფსრ მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ლ. ს. სობოლევმა აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ლიტერატურაში მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მწერალს.

კ. გოფმანმა ილაპარაკა იმ დიდ გავლენაზე, რომელიც ლ. ნ. ტოლსტოის შემოქმედებამ მოახდინა ჩეხოსლოვაკიაში. აქ ოთხჯერ გამოიცა მწერლის თხზულებათა სრული კრებული, ახლა კი ამზადებენ ახალ 18-ტომიან გამოცემას.

გახსნის საზეიმო ცერემონიის შემდეგ ა. ნოვოტნიმ, ი. ლენარტმა, ბ. ლაშტოვიჩკამ, სხვა სახელმწიფო და პარტიულმა მოღვაწეებმა დაათვალიერეს გამოფენა.

გამოფენის დამთვალიერებლებს შეუძლიათ მოისმინონ ტოლსტოის ხმის ჩანაწერი და ნახონ დოკუმენტური კინოკადრები მისი ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ. გამოფენის კინოდარბაზში უჩვენებენ სიტყვის დიდი ოსტატის წიგნების მიხედვით შექმნილ მხატვრულ ფილმებს.

გამოფენა 1967 წლის 31 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

რევოლუცია, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას

კაირო, 21 სექტემბერი. (საკდესი). ოქტომბრის რევოლუციამ ჩაწერა ახალი ფურცელი ისტორიაში, რაც მოასწავებდა იმას, რომ დაიწყო იმპერიალიზმის კრახი და შეიქმნა ახალი საზოგადოება, რომელიც ემყარება თანასწორობასა და უარყოფს მონოპოლიათა ბატონობასა და ექსპლოატაციას ყველა სფეროში, იქნება ეს ხვადასხვა ადამიანის ურთიერთობა თუ საერთაშორისო ურთიერთობა", — ბაზს უსვამს კაიროს ყოველკვირეულის „ახერ ხაბარ" მთავარი რედაქტორი იუსეფ ეს-სიბაი სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებულია უურნალის დღევანდელი ნომრის პირველ გვერდზე.

უეჭველია, — წერს იუსეფ ეს-სიბაი, — რომ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ და ეროვნული განთავისუფლებისათვის რევოლუციური რუსი ხალხის ბრძოლის წარმატება დეტონატორია მშრომელთა მასების რევოლუციისათვის სხვადასხვა ქვეყანაში და ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებას, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ის, რომ იმპერიალისტურმა ფრონტმა დაიწყო რღვევა, ხოლო მისი პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო ბალანსი სულ უფრო სუსტდება.

საბჭოთა კავშირის დახმარება მებრძოლი ხალხებისადმი, როგორც მათს ბრძოლაში იმპერიალიზმისაგან განთავისუფლებისათვის, ისე ბრძოლაში სოციალური თუ ეკონომიური განვითარებისათვის, მუდამ ემყარებოდა ამ ქვეყნების სუვერენიტეტის პატივისცემას, თანასწორუფლებიანობასა და მეგობრობას რაიმე ისეთი პირობის დაუთქმელად, რომელიც შელახავდა ეროვნულ სუვერენიტეტს ან თავს მოახვევდა ამა თუ იმ ქვეყანას თავის სისტემას.

კეთილმეზობლური ურთიერთობა

თეირანი, 20 სექტემბერი. საკდესის თეირანელი კორესპონდენტი ლ. ვართანიანი გვაცნობინებს: ირანის საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება დიდ მუშაობას ეწევა ირანისა და სსრ კავშირის მეგობრობა-განსამტკიცებლად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადების პერიოდში.

გუშინ საზოგადოებაში გაიმართა ირან-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მორიგი საღამო. საღამოზე შეკრებილმა დიდადელების სტუდენტებმა, მეცნიერებმა, საზოგადო მოღვაწეებმა და მცხოვრებლებმა დიდი ინტერესით მოისმინეს საბჭოთა კავშირის თეირანის საელჩოს მრჩეველის პ. თ. ულჩოვის ლექციები „დიდი ოქტომბერი და ეროვნული საკითხის გადაჭრა სსრ კავშირში". საინტერესო ლექციაში პ. თ. ულჩოვმა დამსწრეთ მოუთხრო, თუ როგორ ხორციელდება საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი დღეებიდან დღემდე საბჭოთა კავშირში მკაფიო და ღრმად მეცნიერული ეროვნული პოლიტიკა, რომელიც შემუშავა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა, ლენინურმა ალიანსმა, რომ საბჭოთა კავშირი კაცობრიობის ისტორიაში პირველი მრავალეროვანი ქვეყანაა, რომელმაც პრაქტიკულად გადაჭრა ადამიანთა ჯგუფების ურთიერთობის ყველაზე რთული საკითხი, რომლებსაც აქვთ თავიანთი ენა, ზნე-ჩვეულებანი, წესები, საღამოს დასასრულს შეკრებილებმა ნახეს კინოჟურნალები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ცხოვრების შესახებ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (სპეც. კორ.). გუშინ გაიმართა გენერალური კომიტეტის სხდომა, რომელიც განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXII სესიის დღის წესრიგს.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ სესიის დღის წესრიგის შეიტანოს „ეგრეთ წოდებული „კორეის საკითხი", რომლის ინიციატორი, როგორც ცნობილია ამერიკის შეერთებული შტატებია. ამ „საკითხის" შეტანა, თქვა მან, იქნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო სამართლის იმ ძირითად პრინციპთა ფეხქვეშ დარღვევა, რომელნიც უკრძალავენ ყველას, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციასაც, ჩაერიოს სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. საბჭოთა კავშირის დელეგაციის აზრით, საჭიროა დაუყოვნებლივ და გადაჭრით ითქოს ბოლო კორეელი ხალხის საშინაო საქმეებში გარეთან ჩარევას და მიეცეს შესაძლებლობა ბუთონ განახორციელოს სუვერენული უფლება, რომ დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი ბედი. სამხრეთ კორეიდან უნდა გაიყვანონ უცხოეთის მთელი ჯარები, უნდა დაიშალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „კორეის საკითხთა კომისია და დღის წესრიგიდან მოიხსნას „კორეის საკითხი".

დღეს კომიტეტი განაგრძობს დღის წესრიგის განხილვას.

საბჭოთა სპეციალისტის ლექცია

კაირო, 20 სექტემბერი. (საკდესი). „არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ელექტროენერგიის წარმოება ერთთორად გაიზრდება ასუანის „ჯაზალის ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედების შემდეგ. მისი პირველი აგრეგატის ამქმედებელ დასახელია უკვე მომდინარე წლის 15 ოქტომბერს", — განაცხადა საბჭოთა სპეციალისტმა-ენერგეტიკოსმა ა. ი. ს. ფარკო

გულთბილი შეხვედრები ქართულ მინა-წყალზე

ძმური დახმარება

უნგრელი მეგობრების სტუმრობამ ქართველი მეტალურგების და ქიმიკოსების ქალაქში ყველას დიდი სიამოვნება მოჰგვარა. მაგრამ ის სიხარული, რაც რუსთავის ქიმიური კომბინატის ინჟინერ-ტექნიკოსმა გურამ კალანდაძემ განიცადა, შეუდარებელია.

ეს იყო ჯერ კიდევ 1962 წლის სექტემბერში უნგრეთიდან გურამს სპეციალური მოწვევა მოუვიდა. თხოვნა ასეთი იყო:

„ჯაზნიცბერიციას ქიმიური კომბინატის მეთანის კონვერსიის საამქროს ვუშველთ, კეთილი გაგვიწიოთ ამ საქმეში დახმარებათ“.

ოქტომბერში უკვე კ. კალანდაძე უნგრელ კოლეგებთან იყო და რეკომენდაციებს აძლევდა მათ ამა თუ იმ რთული ტექნიკური საკითხების გადაწყვეტის დროს. და თუ ახლა მეთანის საამქროს ჯაზნიცბერიციას ქიმიურ კომბინატში გამართულად მუშაობს, ამის შედეგიც არის, რომ აქ გურამ კალანდაძის მითითებითა და უშუალო მონაწილეობით მოახდინეს ჟანგბადი-აირის ხაზზე პიროგალო�ირი ჩაქაქების მექანიკური შეცვლა და თერმოწყვილების განლაგება.

...გურამმა რუსთავში ჩამოსულ სტუმრებს პირველ კითხვად დაუსვა თუ როგორ მუშაობს ამჟამად მის მიერ გაშვებული საამქრო. ქართველ სპეციალისტს სასიამოვნოდ დაურჩა როცა გაიგო, რომ მისი საუკეთესო მეგობარი დუილა მაკი კვლავ ამ საამქროს უფროსია და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს.

— გადაეცით ჩემს დუილას გულითადი სალამი, — სთხოვა გურამმა დელეგაციის წევრებს.

და განა ამით ამოიწურება ქართველი მეტალურგებისა და ქიმიკოსების მეგობრობა უნგრელ კოლეგებთან? რუსთაველი მეტალურგები თავიანთ საუკეთესო ხარისხის მილებს უგზავნიან უნგრელ მეგობრებს. თავის მხრივ მეგობრული დახმარების ხელს უნგრელებიც უწვდიან. სწორედ უნგრელ სპეციალისტებს უმადლიან ქართველი მეკავროლაქტამეები ამ დიდ წარმატებებს, რომელიც მათ გააჩნიათ. საქმე ისაშია, რომ რუსთავის კაპროლაქტამის ქარხანა მთლიანად დააპროექტეს უნგრელმა სპეციალისტებმა.

უნგრელი მეგობრების ჩამოსვლით საქართველოს ახალგაზრდა ინდუსტრიულ რუსთავში კიდევ ერთი სტრიქონი ჩაიწერა ქართველი და უნგრელი ხალხების ძმობისა და მეგობრობის ისტორიაში.

ზ. მერკვილაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: უნგრელი სტუმრები თბილისის შამპანწერი ღვინოუბის ქარხნის მუშაკებს შორის.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

მეგობრობის ფესვები

ლეიოს ფარლი

უკანასკნელ წლებში საქართველოს სახალხოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სტუმრად ჩამოსული უნგრელი მწერლების, პოეტებისა და ჟურნალისტების აღტაცებულმა აღწერამ უარესად გააძლიერა ინტერესი ამიერკავკასიის მზიური ქვეყნისადმი. უნდა აღინიშნოს, რომ უნგრეთის ისტორიული მეცნიერებაც ახალი კვლევის შედეგად წარმოგვიდგენს იმ ურთიერთობის სურათს, რომელიც ასეული წლების განმავლობაში არსებობდა ჩვენს ხალხებს შორის.

ნათქვამის დასაბუთებლად მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ფაქტს.

1285 წელს ბერ-მონაზონი იულიანე, უნგრეთის მეფის ბელა IV-ის დავალებით ეძებდა აზიაში ოდესღაც დარჩენილი უნგრელების კვალს. მან იმოგზაურა საქართველოში, რომლის ტერიტორია იმ შორეულ დროში ჯერ კიდევ ძალიან დიდი იყო. გაიარა ჩერქეზთა მიწა-წყალი და მიაღწია ალანების, ე. ი. ოსების მიწამდე. ამ მხარის ხალხსა და მის ჩვეულებებზე მან ბევრი რამ საინტერესო აცნობა ბერ-მონაზონ რიკარდოს, რომელიც ჩაწერა ამ მოგზაურობის ამბები.

1296 წელს ნიკოპოლის ბრძოლის დროს უნგრეთის მეფე ეიგმონდის ერთ-ერთი პაჟი ტყვედ ჩაუვარდა თურქებს. თავის ახალ ბატონებს რომ ახლდა, მან საქართველოს ბევრი ადგილი მოიარა და შთამომავლობას დაუტოვა საინტერესო ჩანაწერები თავის შთაბეჭდილებებზე.

1419 წელს მიალოში სერეჩენი მოლაპარაკებას აწარმოებდა ჯერ მესხოპოტამიის მმართველთან, შემდეგ კი კავკასიის ყარაჩაელ თათრებთან.

1458 წელს სახშებეშელმა მემატიანემ, რომლის სახელი უცნობი დარჩა, დაწერა ნაშრომი თურქების ზნეჩვეულებაზე **1488** წელს თურქები თავს დასხმიან ტრანსილვანიის ამ პატარა ქალაქს და ტყვედ წაუყვანიათ მემატიანე. თურქთა ტყვეობაში თითქმის ოც წელიწადს ყოფნის შემდეგ მას ჩაუწერია თავისი დაკვირვებანი. თავისი ნაშრომის 30-ე თავში იგი უდიდესი ქებით ახსენებს ქართველი ხალხის ღირსებებს.

1439-1480 წლებში უნგრეთში პირველად ჩამოდიან საქართველოს ელჩები. საქართველოს მეფე გიორგი VIII თავის მოკავშირეებთან, პირველ რიგში სპარსეთის მფლობელ უზუნ-ჰასანთან ერთად ევროპის წამყვან სახელმწიფოებში, მათ შორის უნგრეთშიც, გზავნის ელჩებს, რომლებსაც სათავეში ედგა თბილისის მიტროპოლიტი ნიკიფორე. იმ დავალებით, რომ დაედოთ კავშირი თურქების წინააღმდეგ.

XVI საუკუნეში შემთხვევამ ხელი შეუწყო თურქეთის იმპერიის დედაქალაქში უნგრელებისა და ქართველების უშუალო შეხვედრას. მაგალითად, **1555** წლით დათარიღებული წერილიდან ვტყობილობთ, ჩერქეზები და მეგრელები რუსების დახმარებით თურქთა ჯარებს ავიწროებენო. „და თუ მათ შეუძლიათ იქ ბოლო მოუღონ თათრებს, შემდეგ შეძლებენ მოვიდნენ მოლდავეთში, ვლახეთში, იქიდან კი, დუნაის რომ გადმოლახავენ. — ჩვენშიც, ვფიქრობ სწორედ ეს არის მათი განზრახვა. უფალი შეეწიოს მათ და დანარჩენ ქრისტიან ხალხებს“.

მეფე ფერდინანდ I-ის ელჩები სტამბოლში ანტალ ვერანჩიჩი და ფერენც ზაი აგრეთვე უაღრესად საინტერესო ცნობებს გზავნიან საქართველოზე და მოუთხრობენ, რომ საუბრები ჰქონდათ საქართველოს ელჩებთან სტამბოლში. „ჩამოვიდა სამეგრელოს მეფე და ჩვენ ვიზრუნეთ იმისათვის, რომ მის მხლებელ პირთაგან მიგვეღო უფრო სრული ცნობები ამ ქვეყნის შესახებ“.

მეფე სვიმონ პირველმა, რომელიც საქართველოს ტახტზე **1558** წელს ავიდა, განსაკუთრებით ენერგიული მოქმედება გაიჩინა თურქების წინააღმდეგ. **1596** წლის **26** აგვისტოს წერილში ესპანეთის მეფის ფილიპე მეორესადმი იგი წინადადებას აძლევს შეკრან ლიგა იმპერატორ რუდოლფ მეორესთან და ტრანსილვანიის მთავართან — „გერმანიის იმპერატორის ნათესავთან“.

1602 წლის 27 აგვისტოს სპარსეთში იგზავნებიან იშტვან კაკაში და გიორგი ტექანდერი, რათა შეპირებას პირველი თურქეთის წინააღმდეგ ახალი ლიგის შექმნის საკითხებში დაარწმუნონ. იშტვან კაკაში გზაში გარდაიცვალა კახპის ზღვის ნაპირებთან. მიუმა ამხანაგმა მისია შეასრულა და უკან გამობრუნებისას საქართველოს მეფე ალექსანდრე მეორესთან აწარმოებდა მოლაპარაკებას თურქების წინააღმდეგ ერთობლივი გალაშქრების შესახებ.

1627-1628 წლებში საქართველოს მეფე თეიმურაზის დავალებით მეცნიერმა ნიკიფორე ირბახმაჩოლოყაშვილმა ევროპა შემოიარა და უნგრეთში იყო.

საქართველოს მეფე არჩილ მეორე გამოჩენილი პოეტი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი იყო. მან ამსტერდამში მცხოვრებ უნგრელ მხატვარ-ამომჭრელსა და მესტამბეს მიელო მისტოტფალუში კიშს დავალა დაემზადებინა ქართული სასტამბო შრიფტი. ოსტატმა მესტამბემ ტრანსილვანიის ქალაქ დიულაფეგარვარში მიხი იშტვანოვიჩმა, — მიხეილ შტეფანაშვილმა, როგორც მას საქართველოში ეძახდნენ, თავის სახელსნოში პირველად განახორციელა შოთა რუსთაველის უკვდავი ნაწარმოების „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვა.

კავკასიაში უნგრელების ყოფნის მკვლევარი და აქ უნგრული ტიპის ვენახების გაშენების ისტორიოგრაფი იყო ოფიციერი სამეფელ ტურკოლი დე გატვანი, რომელმაც სახელი გაითქვა უნგრეთის **1704-1711** წლების განმათავისუფლებელ ომში, უნგრელი ნიმუშების მიხედვით თბილისის მიდამოებში ვენახები გააშენა უნგრეთიდან ჩამოსულმა სპეციალისტმა, სახელად მარტინიმ.

1730 წელს უნგრეთის მეფის ნებართვით ჩრდილოეთ უნგრეთში წარმოებს ჯარისკაცების შეგროვება რუსეთის არმიისათვის. რუსეთის არმიის რეორგანიზაციი გენერალი მინიხი უნგრელი რეკრუტებისაგან ადგენს მსუბუქი კავალერიის რაზმებს. უნგრელები და რუსეთში მოხვედრილი ქართველები დიდხანს მსახურობენ ერთსა და იმავე სამხედრო ნაწილში და უმჯობესი მეგობრობა აქვთ ერთმანეთთან, როგორც თანამოიარაღე ამხანაგებს.

ექიმი იაკობ რეინეგსი წარმოშობით გერმანელი, **1776** წელს გრაფ იანოშ კოგარისთან ერთად გაემგზავრა საქართველოში. იმ დროს საქართველოში მეფობდა ერეკლე მეორე. დიდი რეფორმატორი, რომელმაც შეძლო მუდმივი ომებით დასუსტებული თავისი ქვეყანა მოკლე ხანში ძლიერ სახელმწიფოდ გადაექცია. მისი უახლოესი თანამშრომელი და მრჩეველი დიდხანს იყო რეინეგსი, რომელმაც საქართველოში ფართოდ გამოიყენა ის მეცნიერული და პრაქტიკული ცოდნა მედიცინაში, სამთო-მეტალურგიურ საქმეში, რაც უნგრეთში ჰქონდა შეძენილი. ერეკლე მეორემ მას აზნაურის ტიტული და მიწის სამფლობელოები უბოძა. რეინეგსის ჩანაწერებს საქართველოზე დღემდე აქვს მეცნიერული ღირებულება.

იანოშ ორლაიმ (დაბადა **1770** წელს) მთელი კავკასია შემოიარა. საქართველოში მოგზაურობის შესახებ იგი წერს: „ყველგან ვამჩნევდი დიდ მსგავსებას მთიელებსა და უნგრელებს შორის. ორივე ხალხისათვის დამახასიათებელია მათი ცეკვები, საკუთარი ღირსებისა და სამართლიანობის გრძნობა, მათი შეუდრეკლობა. უნგრულ ენასთან საერთო ნიშნები განსაკუთრებით ემჩნევა ოსებს“.

1802 წელს გამოჩენილმა უნგრელმა მეცნიერმა კაროი დიერდრუშმ შეადგინა კავკასიის ბიბლიოგრაფია, რომლის დიდი ნაწილი მიძღვნილია საქართველოსადმი.

საქართველოში ნამყოფ უნგრელ მოგზაურთაგან გამოირჩევა კაროი იანოშ ბეშე. მოვიყვან ავტორის რამდენიმე სიტყვას საქართველოზე: „ქართველები ომის ღირსი არიან, რომ უკეთ გავეცნოთ მათ და ამრიგად უკეთ შევაფასოთ მათი დახვეწილი ზნეჩვეულებანი, ვაჭრობის უნარი, მათი ხელოვნება. ისინი გულმოდგინენ, სიყვარულით ამუშავებენ თავიანთ მიწებსა და ვენახებს, ჰყავთ ცხვრის დიდი ფარები და ცხენის ჯოგები“.

უნგრული წარმოშობის რუსი გენერლის პეტერ ტეკელის სახელთან დაკავშირებულია თურქების გაწდევნა სამეგრელოდან და იმერეთიდან **1787-1789** წლებში.

იშტვან ნოგელმა, რომელიც პეშტიდან **1841** წელს გაემგზავრა, **1843** წელს საქართველო შემოიარა. ამ მოგზაურობასთან დაკავშირებით დაწერილი მისი სტატიები და წიგნები მოწმობენ იმას, რომ იგი ქართველთა ისეთივე აღტაცებული მეგობარია, როგორც მისი წინამორბედნი. იგი წერს: „ტუუელად კი არ არის ასე შორს ცნობილი მათი (ქართველების) სტუმართმოყვარეობა, და საერთოდ ეს ხალხი კეთილშობილი მიდრეკილებისაა“.

თუ რამდენად გავრცელებული იყო უნგრეთში პატივისცემა საქართველოსადმი, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მთელი რიგი არისტოკრატიული ოჯახები ცდილობდნენ ეჩვენებინათ ქართული ელემენტები თავიანთ შთამომავლობაში. მაგალითად, პირველი უნგრული ენციკლოპედიის თანახმად გრაფი ხადიკების ოჯახზე ნათქვამია, რომ „მათი გვარი ძველი და აყვავებული იყო უნგრელთა ნათესავი თავადების სახით, რომლებიც კავკასიის მთიანეთში ცხოვრობდნენ ძველად“.

ზიჩის ოჯახშიც იყო წარმოდგენა ქართველ ნათესავებზე, და ხაჭრიანელები ლიდხანს ყოფნისას გრაფმა იენე ზიჩიმ კავშირი დაამყარა თავად ციციშვილებთან, რომელთა გერბი თითქმის ისეთივე იყო, როგორიც ზიჩის ოჯახის გერბი. უნგრეთში დღესაც შეიძლება შეხვდეთ საქართველოდან გადმოსახლებულ ცალკეულ ოჯახებს.

სერიოზულ შედეგებს მიაღწია საქართველოში უნგრელთა ექსპედიციამ, რომელიც შედგებოდა იენე ზიჩის, ბელა ჰოშტისა და იანოშ იანკოსაგან. გასული საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში მან გამოიკვლია საქართველო იმ მიზნით, რომ მოეძებნა უნგრელთა ძველი დასახლებანი.

ბერტალან ჩუდაკის ნაშრომში, რომელიც XX საუკუნის მიჯნაზე გამოვიდა, მხატვრულად უკვდავყოფილია საქართველოს სილამაზე.

1899 წელს ბოტანიკოსმა ლასლო ხოლოშმა გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილებანი სათაურით „ჩანაწერები კავკასიაში მოგზაურობაზე“.

თბილისში **1896** წელს დაარსებული ხაოპერო თეატრის პირველი ბალეტმეისტერი და ამავე დროს პირველი მოცეკვავე იყო უნგრეთიდან ჩამოსული კაროი ბეკეფი.

გასული საუკუნის უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის საუკეთესო თავს შეადგენს დიდი უნგრელი მხატვრის მიხი ზიჩის შემოქმედებითი მოღვაწეობა. საქართველოში მიხი ზიჩის მიერ გატარებულ წლებზე და მის მიერ იქ დაწერილი სურათების მნიშვნელობაზე ამომწურავ წარმოდგენას იძლევა უნგრეთის მხრივ — ილონა ბერკოვიჩის დიდი ნაშრომი და საქართველოს მხრივ — ბენო გორდეზიანის მონოგრაფია.

უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა მეტადრე მჭიდრო. განსაკუთრებით მახლობელი ხდება დიდი სამამულო ომის შემდეგ. როცა სახელოვანმა საბჭოთა არმიამ უნგრელი ხალხი გაათავისუფლა გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან. ჩვენი ურთიერთობა ამჟამად იმდენად ღრმა და მრავალმხრივია, რომ ჩემი სურვილია ცალკე გამოვიკვლიო იგი და დამოუკიდებელ სტატიად წარმოგიდგინოთ.

სტრიქონები საიუბილეო წლის „ვოეტური ფოსტიდან“

საბჭოთა ხალხი მალე ოქმოცდამეათე ფეტიელს მოახვევს თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების წელთა კალენდარს. გათენდება წლევანდელი 7 ოქტომბრის ბედნიერი დილა, და მეწამული დროშების ტყე ისე დაამშვენებს ჩვენს თვალწვდენელ სამშობლოში საზეიმოდ გამოფენილი ხალხის ზღვასავით მოელვარე ტალღებს, ყოველი რომ ამშვენებს ხოლმე ასევე ზღვასავით მოლიკლივე ხასხასა მდელოს.

მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის.

საბჭოთა ხალხის ამ სიხარულს ქართველი ხალხიც გულწრფელი გულით ერთვის. მრავალჟამრნახულმა საქართველომ ხომ თავისუფლება მხოლოდ ოქტომბრის მზის ქვეშ ჰპოვა!

მშვიდობას, ნამდვილ და საბოლოო გამარჯვებას ქართველმა ერმა დიდი რუსი ხალხის დახმარებს, ქართველი ბოლშევიკების ბრძოლის შეოხებით მიაღწია. და დღეს ქართველი დედა მშვიდი ღიმილით ურწევს ჯავანს სანუკვარ პირმშოს, ბედნიერი აწმყოს და უკეთესი მომავლის .მზე თავს დაანათის ჩვენს პატარა, მაგრამ გმირული საქმეებით დიდ და სახელოვან სამშობლოს — საქართველოს.

თუ წინათ დიდი ილია ამბობდა, ქართველი კაცის სიმღერა გაუთავებელ აკნესა-გოდებას უფრო ჰგავსო, ახლა წელში გამართული ქართველი ვეფკაცი სახეგაბადრული და შუბლნათელი მღერის ბედნიერების სიმღერებს.

ბევრი მუშა, კოლმეურნე, მოსწავლე, ექიმი თუ ინჟინერი თავის გრძნობებს ლექსად გამოხატავს. „კომუნისტის“ რედაქცია ყოველდღიურად მრავალ ლექსს ღებულობს.

ლექსთა ავტორები, თითქმის ყველა, კომუნისტურ პარტიას, ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს, მოახლოებულ დიად დღესასწაულს უმღერიან.

ბუნებრივია, რომ მადლობისა და გულწრფელი ხოტბის პირველი სიტყვა იმას ეკუთვნის, ვინც ადამიანებს მარადიული გაზაფხული დაუმკვიდრა, — ხალხის ბრძენ ბელადს — **დიდ ლენინს.**

ქობულეთის რაიონის ს. დიდვაკის მცხოვრები **შ. დარსაველიძე** რომ წერს:

ბრძენი ბელადი ლენინი
კვლავ გვიძღვის, გვეალერსება,
ორმოცდაათი წელია
სიტკბოთი გული გვევსება,

ეს მარტო მისი სათქმელი როდია, ყველა მშრომელი და პატიოსანი ადამიანის გულიდან აღმომხდარი სიტყვებია.

აი თუნდაც **ე. უურაშვილი** (მაიაკოვსკის რაიონი). მასაც, მილიონობით მშრომელი ადამიანის მსგავსად, ლენინის სახე მუდამ ცოცხლად ესახება:

კვლავ წინ მიგვიძღვის
ამ პლანეტის პირველი კაცი,
რევოლუციის ბელადი და
მამამთავარი.

ჩაგრულთა მხსნელად ამობრწყინდა
ნათელ გონებით
და ბოროტებას დაუნდობლად
ჩასცა ლახვარი.

ასეთივე უშუალობითა და გულწრფელი აღმფრთოვანებით არის დაწერილი მიხაკოვსკის რაიონელი გაზეთის „წითელი დროშის“ რედაქციის თანამშრომლის **კ. შავდიას** ლექსი „აპრილში მოვიდა ლენინი“.

უდაბნოს შემცველი წალკოტად
აპრილში მოვიდა ლენინი, —

ამბობს ავტორი და მან იცის, რომ უდაბნოს წალკოტად შემცველ ადამიანს თან მოაქვს:

სიცოცხლე, ხალისი, სინათლე,
ერთობა, ძმობა და მშვიდობა.

ლ. ჩოხელის (თბილისი) სიტყვით, კაცობრიობის ნათელი აზრის დიდი გენია **„ჩვენს მომავალს დიდებით მოსავს“.**

ლექსების წერით გატაცებულ თბილისელ მუშას **სამსონ ოუხაძეს** შნირად ნახავთ გამომცემლობებსა და რედაქციებში. მის პორტფელში მრავალი ლექსია.

თავისუფლების მზე ბრწყინავს,
საამური გაჰქეს ცხოვრება,
დიდი ლენინის სიტყვები
სულ მუდამ გვემახსოვრება.

მუშა პოეტი **გ. ბიჭიკაშვილი** ბევრი ლექსის ავტორია. იგი მთელი გულით უმღერის სამშობლოს, პარტიას, დიდ ლენინს, მშვიდობას:

ლენინის დროშა აფრიალ,
სხივივმფენი, ქვეყნად ქებული.
წყლის ძალა ცეცხლად ვაქცევთ,
მისით ვართ განათებული.

გ. ბიბიკაშვილი, როგორც ყველა კეთილი სურვილის მქონე ადამიანი, მშვიდობის მომხრეა, მის ლექსებში მშვიდობის თემას დიდი ადგილი უჭირავს.

საბჭოთა ადამიანები გულწრფელ საგალობელს ეფდგნიან გმირებს, რომლებმაც დიდ სამამულო ომში თავი დაიდეს სამშობლოსათვის, სიცოცხლე არ დაშურეს ხალხის კეთილი მომავლისათვის. ხალხი ადიდებს გმირთა სახელებს, ლექსებს უთხზავს, სიმღერებს უმღერის მათს უკვდავ ხსოვნას. გმირთა სახელი და საარაკო საქმეები ლეგენდად იქცა. სწორედ ეს აზრია გატარებული **ვ. ხუციურაულის** (დუშეთი, ს. ხორხა) ლექსში:

დიდება გმირებს. ვინაც მტერს
ცეცხლით, მახვილით ეკვეთა.
თუმც მოკვდნენ, მაგრამ სახელი
ხალხს დაუტოვეს ლეგენდად.

დიდი სამამულო ომის გმირთა შარავანდედით მოსილი სახელები საბჭოთა მწერლებისათვის შთაგონების წყაროდ იქცა.

ვაშა მათ. ვინაც სამშობლოს.
დედაგეფუფვივით იცავდა.
ვისი სახელიც ფრონტიდან
წიგნებში გადაიწარდა.

წერს სხვა ლექსში ვ. ხუციურაული.

საინტერესო ლექსები გამოგზავნა რუსთაველმა **ი. ლომიძემ:**

ერთი ქართველი კაცი ვარ,
ნაზარდი კახურ ვაზითა.
მეც მიყვარს ჩემი სამშობლო
გულით, გონებით აზრითა;

შეუძლებელია აუფელვებლად წაიკითხოთ ბარათი, რომელიც მან თავის გულწრფელ ლექსებთან ერთად რედაქციას გამოუგზავნა:

„ვარ ომის ინვალიდი, — წერს ი. ლომიძე, — არა მგონია ვინმეს ისე ეჯავრებოდეს ომი, როგორც მე. და თუ სამუშაოდ გექნებათ, გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ჩემი ხმა მიაწვდინოთ ხალხს, რომელმაც თავისი ზურგით გადაიტანა ომის მთელი სიმძიმე“.

ეს ბევრის მთქმელი, სიტყვები ნათლად მოწმობს, თუ რა ძნელია მოსაგონებლად ომის საშინელი დღეები და რა დიდი და ძლიერია მშვიდობის სურვილი.

რაც ვნახე. შვილებს კი არა,
ნეტავი არც მე მეხილა,
ღმუოდა მიწა ნატორი
მახვილითა და მეხითა.

რაც ვნახე. შვილებს კი არა,
ნეტავი არც მე მეხილა.
მინდა დათაფლდეს მტეკნები,
რტონი დახუნძლის ხეხილმა.

გულწრფელად ამოთქვამს ამ სიტყვებს ნაომარი, ამჟამად შრომის ოფლგადანადენი ვეტერანი, და მართლაც ვის გულს არ მოხვდება ეს სტრიქონები, ვის არა სურს, რომ სამშობლოში სულ მშვიდობა იყოს, შრომა სუფევდეს, ბარაქა დახვავდეს, ვის არა სურს სულ „დათაფლდეს მტეკნები“, აკნები ბრწყინდეს და იავნანას ტკბილი ბალობა ისმოდეს!

ოქტომბრის დროშამ, პარტიის ბრძნულმა საქართველოს მიწა-წყალზე ყანები აიბიბინა, ბაღები აიყვავა. ვაზი ახარა, სიმღერა, ლხინი და ქორწილი ამრავლა... **დ. ხახიაშვილს** (ონი) სურს ამ სიუხვითა და სიხარულით მარადყამ ტკბებოდეს ადამიანის გული:

სიუხვე ბაღებს,
ბარაქა ვენახს;
ბლეტკაცის ხელით
ნახარებ ყანას!

სულ იყოს ლხინი,
სულ იყოს ვაშა,
ჩვენი სიმღერა:
ლილე და ნანა.

ცხაკაიელი **გ. კირცხალია** გაზაფხულის ძალემ სუნთქვას, ბუნების მშვენიერებას მოუხიბლავს („გალობს ბულბული გაზაფხულის სურნელით მთვრალი, ირგვლივ ბალნარებს დაჰბნევია ალმასი, ლალი“) და ჩვენი წარმტაცი მთა-ველით მოჯადოებული მიმართავს სამშობლოს: „ლექსის ზღვა ვარ და, მამულო, შენ გეამბორები“.

მ. არავიაშვილის (თბილისი) ოცნება ჰიათურის მარგანეცმა საქართველოს მთელ მსოფლიობა გაუთქვა სახელი. თუ წინათ, როგორც **ო. დავაკნიშვილი** ამბობს, „ზორაპნიდან ჰიასავით დაკლაკნილი ვიწრო ბაში ზედ ეკვროდა შავ ყელრილს, როგორც ვაჟაცს სატრფო ნაბი“ და მაგრამ კამაზიანებმა დიდი ჰაპანსაწყალი საქმე იყო, საბჭოთა ადამიანებმა მთელ კვერაბებით დაღარეს და ფართოლიანდაგიანი რკინიგზა დაგეს.

ამაო ჰიათურას, ო. ბიაკენიშვილის გარდა, ა. მიხარაძეც (ჰიათურა, ს. რგანი) ეტრფის:

განთიადიდან შახტებში
ისმის გუგუნი ჩარხისა,
შეჯიბრებაში ჩაბმული
გამარჯვებული ხალხისა.

დედა! ვინ არის ამაზე პატივსაცემი და სადიდებელი, ვისაც დედობა. მამულისათვის შვილების გაზრდა უწმიდეს და უპირველეს მოვალეობად მიიჩნია! ერთი ასეთი საპატიო ადამიანის — ლოლა ზარანდიას სახელი პრესამ ქვეყანას ამცნო. თიანეთის „რაიონის ს. საყდრიონის სკოლის მოსწავლემ“ — **ლ. ბიჩილაშვილმა** კი ლ. ზარანდიას გმირობას ლექსი მიუძღვნა:

ჩვიდმეტი შვილის დედა ხარ,
ბრწყინავს ეგ შენი სახელი,
პირველი შვილით დაიწყე
მეჩვიდმეტემდე ახელი.

ბათუმელი **ხ. რუსიეშვილი** კი თბილისში აღმართული ქართველი დედის ქანდაკებას მოუხიბლავს. მისი ლექსის ლირიკული მგირი — ქართველი დედა, რომელსაც ცალ ხელში მოუკრავსთვის მისარომევად ღვინით სავსე თიალა უჭირავს, მეორე ხელით კი მტრისთვის გულში სა-

სიმღერის სათავე — ხალხის გული

სამშობლოსათვის გულაძგერებული ყველა ადამიანისათვის გასაგები და მახლობელია:

მთელი მსოფლიო მიბოძეთ თუნდა,
ბედნიერებით გამიძღეთ გული,
მე ერთი წელი აიცოცხლეც მყოფნის,
ოღონდ მამულში დავლიო სული.

ჯ. ფაჩულია (კურორტი მენჯი) საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს მოუხიბლავს. იგი ამბობს:

ლენინის დროშა მთვარეზე ელავს,
ვინ მოსწერია გმირობას ამგვარს,
ვაშა საბჭოთა მეცნიერებას —
ჩვენი მომავლის უდიდეს ლამპარს.

ქართველმა კაცმა ჰაერშიც და ლხინშიც მოძმის გატანა იცის. მას ყველა ერი უყვარს და ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მატრფიალეა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა თუ სოფლებში მრავალი ეროვნების ადამიანები ერთ ძმურ, შეხამტკბილებულ ოჯახად ცხოვრობენ. აი სწორედ ამას აუღებენია ხელში ალმი თბილისელი **გ. ზაზიკაშვილისათვის:**

მოძმის ტრფიალი ოდითგან მოგვდევს,
და გასაჭირშიც თაგზე გევლებით.
ეს გაუმარჯოს ხალხთა დიდ ძმობას —
პარტიას მტკიცე ლენინელებს!

ხალხთა ძმობას, დიად ოქტომბერს, დიდ რუსეთს უმღერის **ი. ნებაძე** (თბილისი). ავტორმა იცის, რომ რუსეთმა, ოქტომბერმა ხალხს ბედნიერება დაუმკვიდრა:

ცხრაას ჩვიდმეტში შესძარ ხმელეთი,
გამოაღვიძე ქვეყნიერება.
შეგვხსენ ბორკილი, მოსპე ბნელეთი,
ხალხს დაუმკვიდრე ბედნიერება.

ლენინისა და პუშკინის დედავ,
გამარჯვება და სიმტკიცე გშვენის,
მზევარ ანათებ ხალხთა იმედად,
არ დამარცხდება სიმართლე შენი.

ჩვენს ეურნალ-გაზეთებში მკითხველი **სულიკო დიასამიძის** სახელს ეთუოდ შეამჩნევდა იგი, თბილისელი ნიჭიერი ახალგაზრდა, სარეცელს მუდმივად არის მიჯაჭვული, ჯაგრამ სულით მხნე და გაუტეხელია. მისი ლექსები ოპტიმისტურია, გრძნობები — ალალი და გაუტეხარკი. ს. დიასამიძის ლექსების თემატიკა მრავალფეროვანია იმ ლექსში კი, რომელიც მან ამ უკანასკნელ ხანს გამოუგზავნა რედაქციას, გულით უმღერის საბჭოთა ახალგაზრდობას:

არის თაობა ბრძოლის და წინსვლის,
არც იცის. რაა შრომაში დაღლა.
ძარღვებში ეჩქეფა. მარული სისხლი.
სულ წინ ისწრაფვის, მაღლა და მაღლა.

უშიშარია და გამბედავი,
თავს ურჩევნია მამული ვრცელი.
არის ქარაშლის გზების მეცავი.
ხალხთა ძმობის და მშვიდობის მცველი.

ჩვენი ქვეყნის ახალ, ძლიერ ჰიდროელექტროსადგურებს, ახალ არხებსა და ქარხნებს, ჩვენს სამშობლოში გაჩაღებულ დიად მშენებლობას ბევრის ბული ეუმღერებია. ერთი მათგანი **ე. დაუშვილი** (ორჯონიკიძე) ვერ ჰფარავს აღტაცებას:

მე ვეტრფი ჩემი ქვეყნის მშვენებას,
მაღალ მთებს. მინდვრებს უხვმოსავლიანს,
უთვალავ ჭისს და ფაბრიკებს. ქარხნებს,
იმათ მშენებელს — გმირ ადამიანს.

რეკონსტრუქციამდელი ჯავისა და ხის გუთნის საქართველო საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძლევამოსილი ინდუსტრიული რესპუბლიკა გახდა. რუსთაველმა ფოლადმა, ქუთაისურმა ავტომობილმა, ძვირფასმა ბასრი მახვილი მოუმარჯვებია, გმირულად გადმოსკვერის საქართველოს ჰაერი დედაქალაქს და ამაყად ამბობს:

ქართველის დედა ვარ, ხელში მიპყრია
პირბასრი ხმალი და ღვინის თასი.
დიდება ჩვენს ერს, ჩვენს საქართველოს
წელთა სიმრავლე ასი ათასი!

დიდება და დღეგრძელობა ჩვენს პარტიას, ჩვენს დიად სამშობლოს, შრომას, მშვიდობას, მეგობრობას, სიცოცხლესა და სიხარულს! — ეს ის სიტყვებია, უყლებლივ ყველა კეთილი ადამიანის გულში ჩრაღდანიანი რომ ანთია. ბევრის გულდაგულ ამ ცისკრის ნაპერწკლები ლექსთა სტრიქონებად მოცვივა. ყველა ლექსი, რომელსაც „კომუნისტის“ რედაქცია ღებულობს, მხატვრულად ძლიერი როდია, მაგრამ წრფელი გულით ნათქვამი კი არის!

ეს ვინ არიან ამ ლექსთა ავტორები: ზ. აღლაძე, ვ. ბობოიანელი, ვ. ბკუხარია, ს. გოგოლაური, ლ. გორდაშვილი, მ. ზაუტაშვილი, თ. თუმანიანი, ო. ალბერიშვილი, ე. კეკელია, დ. კობიაშვილი, ა. ლომაძე, გ. მამაგულაშვილი, ე. მარკანია, ო. მარმაკოლიე, ს. მელოდოვა, მ. მუშკუდიანი, მ. ხაპირელი, გ. ნიბაძე, ვ. ორკოჭელიანი, თ. პავლიაშვილი, ლ. პაპავა, ი. რეხვიაშვილი, ნ. რჩეულიშვილი, ბ. სარაძე, შ. სიხარულიანი, თ. სულაკი, გ. ქაკუთარაძე, ე. ქერთიანი, გ. შაიმელაშვილი, ი. ფიროზოვა, ლ. ყაჯაშვილი, დ. ხმიადაშვილი (თბილისი), ბ. ბერია, ნ. ლორთქიფანიანი, რ. დავითაძე, შ. გოგიტიძე, შ. შეხვეელია (ბათუმი), ვ. გოგობია, ლ. წერეწელი (სოხუმი), ბ. თარგამაძე, ს. ნინშიანიძე, ვ. ირბიანი, დ. ოთსელიანი (ქუთაისი), მ. ჯინჯარაული, ს. მილოთავა, ვ. ჯობაძე, მ. ხუციკაული, ს. ბერეკეთელი, ვ. ბეგიაშვილი, ი. ჯალავი, ე. სულთანიშვილი, ც. ტომარაძე (რუსთავი); ზ. გაგნიდე (თელავი), ზ. ბოროსეკელი, ე. ბოხაშვილი, ს. სომხიშვილი. ლ. ვარდანაშვილი, ზ. ფერსაშვილი, რ. ცერცვაძე (გორი), ვ. ჩარგოლაშვილი (ცაგერი), მ. დოხნაძე (ამბროლაური), რ. მელიქიძე (ასპინძა), ი. ნეფაძე (ახალციხე), ყ. ნუაროსპირელი (ახმეტა), ნ. კინაძე, ალ. რა

ჩვენს ეპოქა-ჟამეულში

გვატყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები

ამიერკავკასიის ქირურგთა ფორუმი

ამას წინათ ბაქოში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ქირურგთა VII ყრილობა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

ყრილობის თავმჯდომარედ არჩეული იყო სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე აზერბაიჯანის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი მ. თოფჩიბაშევი, მოადგილეებად — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ლენინური პრემიის ლაურეატი პროფესორი ნ. ანთელავა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ს. შარიმანიანი.

განხილული იყო ოთხი საპრობლემო საკითხი: მწვავე აპენდიციტი, ნაწლავთა გაუვალობა, სიახლენი ქირურგიაში და ამბულატორული ქირურგია.

ოთხივე პრობლემის გარშემო სულ მოსმენილ იქნა 90-მდე მოხსენება. აქედან 25 მოხსენება ქართველმა დასტაჟრებმა წაიკითხეს.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის 200-მდე გამოჩენილმა ქირურგმა, მათ შორის მ. თოფჩიბაშევმა, ნ. ანთელავამ, დ. იოსელიანმა, მ. კომახიძემ, ს. შარიმანიანმა, ხ. ბუაჩიძემ, ა. კუტუბიძემ. ა. გეორქიანმა და სხვ.

ყრილობაზე ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი აგრეთვე რესპუბლიკების რაიონებში მომუშავე ქირურგები თავიანთი შინაარსიანი მოხსენებით.

მოსმენილ პრობლემებზე ყრილობამ მიიღო გაფართოებული რეზოლუცია. მიღებულ იქნა დადგენილება — ამიერკავკასიის ქირურგთა VIII ყრილობა გაიმართოს 1970 წელს თბილისში.

ო. ღლონტი,
აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ტრავმატოლოგიის განყოფილების გამგე.

ᲥᲔᲚᲐᲕ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲛᲜᲔᲑᲣᲠᲭᲛᲘᲡ სამშენებლო სამმართველომ ქალაქად და მუშათა დასახლებებში სულ რაღაც ხუთი წლის განმავლობაში ექვსი საშუალო სკოლა ააშენა.

ახალ სასწავლო წელს მწყობრში ჩადგა რიგით მეშვიდე საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა, რომელიც მოსწავლეებს გადასცა ვარდნილაქესის სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა პირველი გალი-რეჩხის მუშათა დასახლებაში.

ხ. პაპასყურა.

ᲬᲧᲐᲚᲘ — ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ბეკრი სოფელი და მათ შორის ღელეები სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდიდნენ სამეიოდე წლის წინათ სოფლის ბოლოს გაიჭრა არტეზიული ჭა, საიდანაც ანკარა წყალმა ამოხეთქა, მაგრამ იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი როდი იყო. ამჟამად სოფლის თავში იჭრება მეორე ასეთივე ჭა. რომელიც დამატებით წყალს მიაწვდის სოფლის მშრომელებს. ასეთივე ჭა გაიჭრება სოფლის დასავლეთ უბანშიც.

ა. ხელაძე.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ“ № 18

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚᲐ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეთვრამეტე ნომერი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲮᲐᲠᲐᲩᲝᲔᲑᲖᲔ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (სპეც. კორ.). მოსკოვში შენდება სასტუმრო „როსია“ და ოსტანკინოს მაღალი ტელეკოშკი. ამ მშენებლობებზე მონაწილეობის მისაღებად ამასწინათ 19 რუსთაველი მშენებელი მიავლინეს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში. მათ შორის არიან რამდენიმე მონათესავე პროფესიას დაუფლებული ცნობილი მშენებლები თ. გოგაშვილი, ვ. ნატროშვილი, ლ. ლაკაური და სხვები.

მოსკოვიდან ცნობა მოვიდა, რომ ქართველი მშენებლები სანიმუშოდ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და მაგალითის მომცემი არიან აქ ასობით მომუშავე სხვა მშენებლებისათვის.

ᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ბაქოში, აბაირის გზატკეცილზე, გაიხსნა ახალი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. კომბინატში მუშაობს ქალთა და მამაკაცთა სალონები, საათებისა და რადიომიმღებების შემკეთებელი სახელოსნო, ქიმიური წმენდისა და ფეხსაცმლის მეკანიზებული შეკეთების, აგრეთვე ინდივიდუალური შეკეთების საამქროები და სხვ.

ა. ᲩᲐᲜᲩᲚᲐᲫᲔ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ...

მატჩები და შედეგები

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის XXVI ტურის მატჩები „ა“ კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ლიდერი მოსკოვის „დინამო“ საკუთარ მოედანზე შეხვდა ოდესელ ფეხბურთელებს. მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით 1:0.

ᲛᲘᲜᲡᲙᲨᲘ ადგილობრივი „დინამოს“ წინააღმდეგ გამოდიოდა ალმა-ატის „კაირატი“. შეხვედრის შედეგია 3:0 მინსკელების სასარგებლოდ.

ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘᲐ ჯგუფის ერთერთი წარმომადგენელის ლენინგრადის „ზენიტისა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ კოლექტივებს შორის გამართული მატჩის ანგარიშია 2:2.

ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘᲔᲚᲘ ფეხბურთელები ბაქოში შეხვდნენ „ნეფტიანიკს“. გაიმარჯვა „შახტიორმა“ — 3:1.

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ „არარატს“ თავის მოედანზე პაექრობა ჰქონდა როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 22 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მ.)	26	15	10	1	45-15	40
„დინამო“ (კ.)	25	14	9	2	37-9	37
„დინამო“ (თბ.)	26	11	10	5	33-21	32
„სპარტაკი“ (მ.)	25	11	8	6	31-21	30
„შახტიორი“ (დ.)	26	10	10	6	32-30	30
„დინამო“ (მნ.)	25	8	12	5	34-23	28
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	25	9	8	8	39-28	26
„კრ სოვეტ“.	25	6	14	5	17-14	26
„ტორპედო“ (მ.)	25	10	5	10	28-30	25
„არარატი“ (ერ.)	25	8	8	9	24-26	24
ცსკა	25	8	8	9	24-28	24
სკა (როსტ.)	26	9	6	11	24-33	24
„პახტაკორი“ (ტ.)	26	4	14	8	25-31	22
„ტორპედო“ (ქ.)	26	6	9	11	25-36	21
„ზარია“ (ლუგ.)	24	5	10	9	16-22	20
„კაირატი“ (ალმ.)	26	6	8	12	20-39	20
„ლოკომოტ.“ (მ.)	25	5	9	11	20-27	19
„ჩერნომორ.“ (ო.)	26	6	7	13	17-31	19
„ზენიტი“ (ლენ.)	25	5	5	15	18-45	15

ᲓᲦᲔᲗᲘᲗᲓᲦᲔ სულ უფრო მეტი მაყურებელი ჰყავს ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირს. ეს არცთუ გასაკვირველია, რადგან ყოველდღიურად ნაწილი მოთამაშეებისა ეთიშება ბრძოლას და ბადესთან მხოლოდ ძლიერნი იკავებენ ადგილს. მათი პაექრობა კი ყოველთვის მიმზიდველი და საინტერესოა.

გუშინდელი მერვედფინალის ზოგი შეხვედრა მართლაც საინტერესოდ და, შეიძლება ითქვას, დაძაბულად წარიმართა. აღსანიშნავია ა. მეტრეველისა და ხ. სეპის ორთაბრძოლა. საერთოდ, სსრ კავშირის ჩემპიონთან შერკინებას, ცხადია, ერთგვარი პრინციპული ხასიათი ადგა თან. ალბათ ამიტომ იყო, რომ სეპმა მეტრეველისათვის თავიდანვე ღირსეული მეტოქეობის გაწევა მოიწადინა და ნაწილობრივ შეასრულა კიდეც. მართალია, ჩემპიონმა საბოლოოდ დამაჯერებლად სძლია მოწინააღმდეგეს— მოიგო სამივე პარტია — 6:4, 6:4, 6:1, მაგრამ პირველ ორ პარტიაში იყო მომენტები, როცა ანგარიში თანაბრდებოდა. ვაჟთა შორის წარმატებას მიაღწია საბჭოთა ჩოგბურთელმა ვ. კოროტკოვმა ცნობილ ავსტრალიელ რ. ჰოუსთან შეხვედრაში. პირველი პარტიის წაგების მიუხედავად მომდევნო სამ პარტიაში კოროტკოვმა სძლია მეტოქეს და მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა — 3:6, 6:4, 6:2, 6:4. დაძაბულ ბრძოლაში ვ. პესჩანკომ დათმო შეხვედრა რუმინელ პ. მარმურიანუსთან — 6:4, 1:6, 6:1, 1:6, 2:6. ჩეხოსლოვაკიელ კ. შაფარეკს მოუგო ვ. პესჩანკომ. ვ. ეგოროვთან დამარცხდა მეორე ჩეხოსლოვაკიელი მ. ტეიცნერიც. ხ. ლიხაჩოვ-რ. მახანინს, ა. ივანოვ-ე. ნაელს პარტიები პირველთა გამარჯვებით დამთავრდა.

ქალთა ერთეულებში ო. მოროზოვამ მოუგო ბელგიელ ი. ლოიესს — 6:0, 6:2. მ. ჩუვირინამ — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩოგბურთელს ბ. ჰოფმანს — 9:7, 7:5, ხოლო ა. ივანოვამ — ხ. რიდეს — 3:6, 6:3, 6:2, ა. დმიტრიევამ შეხვედრა ინგლისელ ნ. ალენთან საბჭოთა ჩოგბურთელის გამარჯვებით აღინიშნა — 6:4, 6:3. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ნ. თუბარელმა წააგო გამოცდილ გ. ბაკშეევასთან, ხოლო რ. აბუანდაძემ — უნგრელ ე. საბოსთან.

ქალთა წყვილებში საბჭოთა ჩოგბურთელებმა დმიტრიევა-ბაკშეევამ დაამარცხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები რიდე-ჰოფმანი — 6:4, 2:6, 6:2 და ფინალში გავიდნენ. ფინალში გავიდა მეორე საბჭოთა წყვილი მოროზოვა-ივანოვა, რომლებმაც სძლიეს უნგრელ-ჩეხოსლოვაკიელ წყვილს საბო-ვოპიჩკოვას — 6:0, 6:1.

ვაჟთა შორის მეტრეველ-ლიხაჩოვმა მოუგეს უნგრელ-ბულგარელ მახან-რანგელოვს — 6:2, 6:1, 6:2. მეორე წყვილის ეგოროვ-კოროტკოვისა და ჰოუ-კაკულიას შეხვედრა გადაიდო.

ერემეევა-პესჩანკოს შერეულმა წყვილმა გაიმარჯვა ლუნდკვისტ-ნოვიცკისთან — 1:6, 6:1, 6:4.

ა. მეტრეველი თამაშის დროს.

თბილისელები—საპრიზო ადგილებზე

ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ასპარეზობის ფინალური ტურნირი. გადამწყვეტ მატჩში თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი შეხვდა მოსკოვის „სპარტაკს“. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მოსკოველებმა და ამასთან ერთად პირველი ადგილიც მოიპოვეს. თბილისელები მეორე ადგილზე გამოვიდნენ. მესამე საპრიზო ადგილი თბილისის ნორჩ დინამოელებს ხვდათ.

ᲯᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ᲡᲣᲒᲝᲢᲘᲪᲐ. პრეტენდენტთა მატჩის მეათე ტურში ტ. ზატულოვსკიამ მოუგო ამერიკელ გ. გრეხერს, ხოლო ნ. ალექსანდრიამ — ბულგარელ ვ. ახენოვას, გამარჯვებით დამთავრა პარტია ვ. ნოვართან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ტურნირის ლიდერმა იუგოსლავიელმა მრ. ჰადრაკე ტ. შტადლერმაც. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ᲒᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონმა რ. ფიშერმა აქ განაცხადა, რომ განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს პრეტენდენტთა საზონთშორისო ტურნირში, რომელიც 16 ოქტომბერს დაიწყება ტუნისში. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტი.

ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ 20 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲒᲚᲐᲯᲒᲝ, 21 სექტემბერი. (საკუდესი). კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებმა წარმატებით აიღეს ევროპის ჩემპიონთა თასის ახალი გთამაშების სტარტი. 75 ათასი მაყურებლის თანდასწრებით, რომლებიც ადგილობრივ „პარკ კიევის“ სტადიონზე შეიკრიბნენ, სსრ კავშირის ჩემპიონებმა დაამარცხეს ამ საპატიო პრიზის უშუალო მფლობელნი — „სელტიკის“ ფეხბურთელები — 2:1 (2:0). ასე აიღეს რევანში კიეველებმა ოცი თვის შემდეგ, როდესაც მათ ამავე მოედანზე — 1966 წლის 12 იანვარს თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში ანგარიშით 0:3 წააგეს „სელტიკთან“ შეხვედრა.

მატჩი ურთიერთ იერიშებით, შეტევითი სტილით მიმდინარეობდა. შოტლანდიელებმა ერთბაშად მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეებს — სურდათ რაც შეიძლება სწრაფად გაეხსნათ ანგარიში. მაგრამ მეოთხე წუთზე მშვენიერი კომბინაცია, რომელიც ბიშოვეცმა წამოიწყო და საბომ განაგრძო, დამთავრდა პუნჩარის ლამაზი გოლით — 1:0.

შოტლანდიის ოცდაორგზის ჩემპიონი აშკარად არ მოელოდა მატჩის ასეთ დაწყებას. ისინი, რომელთაც მზარს უბერდნენ ტემპერამენტიანი გულშემატკივრები, მთელი გუნდით ეკვეთნენ კიეველთა კარს.

შოტლანდიელები გაიტაცა იერიშებმა და რამდენადმე შეასუსტეს ზურგი, რისთვისაც მალე სამართლიანად დაისაჯნენ. 30-ე წუთზე ბიშოვეცმა დაჯერებით მოუგო ორთაბრძოლა „სელტიკის“ კაპიტანს მაკნეილს და მეორე, მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. ბურთისათვის ბრძოლა წარმოებდა მინდვრის ყოველ მეტრზე. შეიძლება ითქვას, რომ ინიციატივას ხშირად მასპინძლები ფლობდნენ. მაგრამ ანგარიში მხოლოდ 62-ე წუთზე შეიცვალა, როდესაც „სელტიკის“ მარცხენა გარემარბმა ლენოქმა ბურთი დინამოელთა კარში გაიტანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ შოტლანდიელი ფორვარდის ოუნდის დარტყმული ბურთი შტანგას მოხვდა. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო რუდაკოვმა. მაგრამ დრო გადიოდა. და აი არბიტრი კ. ჩენჩერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) იძლევა მატჩის დამთავრების ნიშანს.

ფეხბურთის ადგილობრივმა სპეციალისტებმა ეს შედეგი სენსაციად აღიქვეს. ვნახოთ ორი კვირის შემდეგ — 4 ოქტომბერს კიევში — მეტოქენი კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

ამ შესახებ მატჩში კიეველები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: რუდაკოვი, შრეგოლკოვი, სოსნინინი, ლევჩენკო, კრულიკოვსკი, ტურიანჩიკი, ბიშოვეცი, საბო, მედვიდი, სერებრიანიკოვი, პუჩარი.

წინა მატჩებთან შედარებით გლეზგოში დინამოელთა შემადგენლობაში გამოვიდა მხოლოდ ექვსი ფეხბურთელი — შრეგოლკოვი, სოსნინინი, ტურიანჩიკი, მედვიდი, სერებრიანიკოვი და პუჩარი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲨᲘ გამართულ სსრ კავშირისა და ინგლისის მცურავთა ტურნირზე ჩვენმა ქალებმა კომბინირებულ ესტაფეტაში 4X100 მეტრზე ევროპისა და საკავშირო რეკორდები დაამყარეს — 4.35,7. სურათზე. რეკორდსმენები (მარცხნიდან) გ. პროზუმენშჩიკოვა, ა. რუდენკო, ლ. ბურბელო და ტ. დევიატოვა.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

კოტე მარჯანიშვილის ძეგლის პროექტზე გამოცხადებული კონკურსი გრძელდება

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამოჩენილი ქართველი რეჟისორის **კოტე მარჯანიშვილის ძეგლის პროექტზე გამოცხადებული კონკურსი, რომლის უკანასკნელი ვადა 1967 წლის 30 აგვისტო იყო, გრძელდება მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე.**

კონკურსში მონაწილეობს პროექტის წარმოდგენა შეუძლიათ იმავე მისამართით: **თბილისი, მახარაძის ქ. № 8. საქართველოს თეატრალური საზოგადოება.**

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲣᲑᲢᲠᲝ�პᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ 1967-68 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲐᲚᲔᲥᲪᲘᲝ-ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲥᲠᲔᲑᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲡᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲠᲘᲗᲘᲗ:

ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ:

1-ლი კურსი 2 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე

მე-2 კურსი 15 თებერვლიდან 21 მარტამდე

მე-3 — მე-5 კურსი 10 იანვრიდან 18 თებერვლამდე.

მე-4 კურსი 15 თებერვლიდან 26 მარტამდე

მე-6 კურსი 1 დეკემბრიდან 10 იანვრამდე

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ:

1-ლი კურსი 9 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე.

მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კურსი 4 დეკემბრიდან 9 იანვრამდე.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: შეკრებაზე ფასიანი შვებულებით გამოძახებულნი იქნებიან მხოლოდ სტუდენტები, რომლებიც შეკრებამდე 20 დღით ადრე ჩაბარებენ წინა კურსის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანს. შეკრებაზე გამოძახებულმა სტუდენტებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ ცნობა სამუშაო ადგილიდან.

რექტორატი.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ 1967-68 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲐᲚᲔᲥᲪᲘᲝ-ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲥᲠᲔᲑᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲡᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲠᲘᲗᲘᲗ:

ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ:

1-ლი კურსი 2 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე

მე-2 კურსი 15 თებერვლიდან 21 მარტამდე

მე-3 — მე-5 კურსი 10 იანვრიდან 18 თებერვლამდე.

მე-4 კურსი 15 თებერვლიდან 26 მარტამდე

მე-6 კურსი 1 დეკემბრიდან 10 იანვრამდე

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ:

1-ლი კურსი 9 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე.

მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კურსი 4 დეკემბრიდან 9 იანვრამდე.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: შეკრებაზე ფასიანი შვებულებით გამოძახებულნი იქნებიან მხოლოდ სტუდენტები, რომლებიც შეკრებამდე 20 დღით ადრე ჩაბარებენ წინა კურსის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანს. შეკრებაზე გამოძახებულმა სტუდენტებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ ცნობა სამუშაო ადგილიდან.

რექტორატი.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

(ა. წერეთლის პრ. № 87).

ᲘᲦᲔᲑᲡ ზეინკლებს, მღარავებს, ხარატებს, მხეხავებს, მტვიფრავებსა და დამხმარე მუშებს, აგრეთვე მოსწავლეებს ინდივიდუალური სწავლებისათვის ზემოაღნიშნულ პროფესიებზე.

ქარხანაა ეხაჭიროება აგრეთვე ინჟინერ-ტექნოლოგება და ინჟინერ-კონსტრუქტორები.

პრობებს გაკეთებ შეიძლება კადრების განყოფილებაში.

თბილისის ელექტრომექანიკური ქარხანა.

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 36 ᲞᲠᲝᲤᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1967-68 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠ ᲛᲫᲚᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲒᲑᲐᲖᲔ:

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡ მიიღებიან 16-25 წლის ქალაშვილები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო ან არასრული საშუალო სკოლა. **სწავლება წარმოებს ქართულ და რუსულ სექტორებზე.**

სწავლის ხანგრძლივობა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებისათვის 1 წელი, ხოლო არასრული საშუალო სკოლა კურსდამთავრებულებისთვის 18 თვე.

სწავლის პერიოდი ითვლება საწარმოო სტაჟად.

სასწავლებელში მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით, ამასთანავე პრაქტიკული მუშაობის დროს გამომუშავებული თანხის 33 პროცენტს.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. 4 ცალი ფოტოსურათი 3×4, 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 7. პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნეს პირადად.)

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთ, რომლებიც წარჩინებით დასრულებენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს და იმუშავებენ თავიანთი სპეციალობის მიხედვით, უფლება აქვთ საღამოს დასწრებულზე ინსტიტუტში ჩაირიცხონ კონკურსგარეშე.

აგრეთვე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთ, რომლებიც წარჩინებით დაამთავრებენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს, უფლება ეძლევათ იმავე წელს ჩაბარონ მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში პროფილის მიხედვით დღის დასწრებულზე.

განცხადებები მიიღება დილის 9 საათიდან 17 საათამდე. სწავლა იწყება მიმდინარე წლის ორ ნაკადად 1 ოქტომბერს და 15 ნოემბერს.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 59 (თბილისის ბანრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ტერიტორიაზე). ტელეფონი: 3-90-50; 3-90-67.

ᲥᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲤᲔᲛᲠᲘᲣᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ „ᲖᲐᲚᲘᲕᲘ“

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲒᲐᲣᲪᲕᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲒ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲧᲝᲤᲚᲔᲑᲐ „ᲖᲘᲚ-110“-Ს ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲠᲐᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲫᲐᲠᲘᲗ — ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ „ᲕᲝᲚᲒᲐᲖᲔ“:

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲐᲜᲒᲠᲗᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲕᲐᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲠᲐᲜᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲛᲬᲧᲔᲕᲔᲑᲘᲗ:

1. ᲑᲘᲝᲥᲘᲛᲘᲐ —1
2. ᲕᲘᲠᲣᲡᲣᲚᲝᲒᲘᲐ —1
3. ᲛᲘᲙᲠᲝᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ —2

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა სათანადო საბუთები უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექციის სახელზე მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სპეციალობაში, უცხო ენასა და სსკპ ისტორიაში 1 ოქტომბრიდან.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, საბურთალო, საქართველოს სამხედრო გზა №33 ტელეფონი: 7-11-15, 7-81-26.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

(ა. წერეთლის პრ. № 87).

ᲘᲦᲔᲑᲡ ზეინკლებს, მღარავებს, ხარატებს, მხეხავებს, მტვიფრავებსა და დამხმარე მუშებს, აგრეთვე მოსწავლეებს ინდივიდუალური სწავლებისათვის ზემოაღნიშნულ პროფესიებზე.

ქარხანაა ეხაჭიროება აგრეთვე ინჟინერ-ტექნოლოგება და ინჟინერ-კონსტრუქტორები.

პრობებს გაკეთებ შეიძლება კადრების განყოფილებაში.

თბილისის ელექტრომექანიკური ქარხანა.

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ 49-Ე ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1967-68 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ: 1. ელექტროხელსაწყოების ტექნოლოგიური დანადგარების